5
1929 б

შოლტი
№ 5

# „შობის" თაიგული

 აი ნაძვის ხე,—შეხედეთ
ძირს დაუხრია ტოტები,
ყოველ მხრით შემოხვევია
ყვავ-ყორან- მიკიოტები.
ვინ გინდათ აქ არ ეკიდოს
თავის ფარით და ხმალითა—
ბიუროკრატი—მცონარა
თავის ბოროტი თვალითა;
კულაკი სოფლის წურბელა,
მუქთა ხორა და ჭამია;
მშრომელი გლეხის სიცოცხლე
მას ბევრჯერ მოუშხამია.
ნებით არ გვითმობს ასპარეზს,
ტვინი ერევა ცოფითა.
ხან გვიწვამს ძნებს და კალოებს.
ხან გვემუქრება თოფითა..
აქვეა ძველი თავადი
სმაში სინჯავდა ღონესა,—
როცა ჰი მოუნდებოდა
ძაღლებზე სცვლიდა მონებსა.
ვაჭარი გასივებული
ოქრო და ვერცხლით ძლიერი,
ძალით რამდენჯერ დასტოვა
მუშა და გლეხი მშიერი.

აქვეა ლორი—მევახშე
და ჩარჩი მისი ძმობილი,
მშრომელი ხალხის ყვლეფაში
გაქექილ-გამოწრთობილი.
გენერალ - ჩინოვნიკები
სავსე ჯვრებით და ჩინებით,
გული ვერ მოუფხანიათ
საბჭოთა ქვეყნის გინებით.
მთელი ეს ხროვა მშრომელ ხალხს
სულს უხუთავდა ძალითა.
ზოგი ურტყავდა მათრახით,
ზოგიც რკინით და ხმალითა,
ჰქონდათ „შობა" და „აღდგომა"
ჭამა, ლოთობა, ღრეობა.
შრომის უფლების მაგიერ
მეფობდა ძალმომრეობა.
მაგრამ დაემხო ძველი დრო,
წუხილმა გადაიარა,
მშრომელს მოურჩა ამათგან
მიყენებული იარა.
კულაკთან, მღვდელთან, თავადთან
აღარ მუშაობს დღიურად
და სოციალიზმს აშენებს
გულდაგულ — კოლექტიურად!



12 688
Библиотека
Акад. Н. Гриш...
Академия нау...

წინად ეხლა



# შოლტიანის მოწოდება

ამხანაგებო, ყველას
მოგეხსენებათ „შობა“
მღვდელ-დიაკვნების ძლომა
სანსლა, ჭამა და ხრჩობა.
მოგეხსენებათ ალბად
ნაზუქები და ტაბლა...
მათ ცა ეკიდათ ფეხზე
თუ ოქრო ჰქონდათ დაბლა.
ინდოური და გოჭი
იხოცებოდა ოხრად.
მღვდლები ყასბებად იყვენ
და დიაკვნები ნოქრად.
ყველა საყდარი ჰგავდა
ხამიკიტნოს და დუქანს.
ის „ცხონდებოდა“ უფრო
ვინც კერძს გზავნიდა მსუქანს.
ბოლოს ნადავლზე იქვე
იმართებოდა დავა,
ხან იმარჯვებდა მნათე
ხან ფოფოდიას გავა.
იყო ჩხუბი და ომი
რიდი არ ქონდათ წვერებს—
და მაინც თაყვანს სცემდენ
მღვდელ-დიასკვნებს და ბერებს.
მაგრამ იფეთქა ერთ დღეს,
„გმირებს“ წაართვეს ლახტი.
მუშის და გლეხის ხელმა
დაამხო ოქროს ტახტი.
საყდრებს ჩამოხსნეს ჯვრები
მემამულეებს—ხმლები
და მათ დამქაშებს ყველას
წარჩინება და ხმები...
მაგრამ არ სცხრება დღემდე
გაუმაძღართა კრება,
ისევ სისინებს, ღრინავს
როცა მისი დღე დგება.
ყოველ „აღდგომა-შობას“
და ყოველ „წმინდა უქმეს“
მღვდელი სულელი—შტერი
თავის საცეცხლურს უქნევს.
მას თვითონ არ სწამს ღმერთი
გლეხებს კი ასე ურჩევს:
რომ, ვითომ, ცაში ღმერთი
სასტიკათ დასჯის ურჩებს,
კომსომოლებს და ვინც კი
კოლექტივებში შევა
ყველას მოელის რისხვა,
შეჩვენება და წყევა.
ასე ქადაგებს მგელი
და ხალხს „აშინებს“ ამით,
ჩვენს მშენებლობას ებრძვის
სარწმუნოების შხამით.
მას გვერდში უდგა
ყველა გასიებული გუდა
ვინც გლეხკაცობას ყვლეფდა
და სისხლსა სწოვდა მუდამ.
ზოგჯერ ღარიბსაც იმხრობს
და იშველიებს საბჭოს.
ეს მართლა სულის მტერი
პარტიულთანაც ვაჭრობს
ზოგჯერ იმარჯვებს კიდეც
და იყოლიებს შტერებს—
— „მოღვაწეები“ სოფლის
მღვდლებს უკოცნიან წვერებს...
ამხანაგებო, მოსცხეთ,
ვინც ამ მოგონილ „შობას“
კულაკებთან ან მღვდლებთან
კვლავ განაახლებს ძმობას.
ვინც საქმის ნაცვლად ამ დღეს
გაილეშება ღვინით,
ვინც სოფლად გამოჩნდება
გადარეული ტვინით.
ვინც კლუბის მაგიერად
საყდრისკენ მიაშურებს—
ან ვინც რადიოს ნაცვლად
მღვდლის „რეჩს მიაპყრობს ყურს
კოლექტივების ხალხი
ამ დღეს დაეწყოს რაზმად,
რომ ჩვენი ქვეყნის მტერი
მოკლას ბოლმამ და ბრაზმა.
დე გაირიყოს ყველა—
ვისაც სურს მღვდლების შველა!
ვინც ამ დღეს იქცეს ჭამად—
დეე, შეერგოს შხამად!
არვინ იაროს ამ დღეს
დოინჯითა და ბოლთით
ამხანაგებო, ხნულებს—
ფორზონითა და ხოლტით!
მუქთა ხორებს კი ერთხმად
მისცხეთ სახრით და შოლტით!

შოლტიანი.

# მ ო წ მ ე

სოფელ დაბლარში მომხდარ მკვლელობის საქმე ირჩეოდა სამაზრო ქალაქში. სასამართლომ მრავალ მოწმეს დაკითხა. ჯერი მიდგა ერთ შუახნის მამაკაცზე.

— მოწმე დურგალიშვილო, — მიმართა თავმჯდომარემ, — უამბეთ სასამართლოს რაც იცით...

— კი, შენი ჭირიმე, ყველაფერს დალაგებით მოგახსენებ... იმ დღეს — ჩაახველა და დაიწყო დურგალიშვილმა, — ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, სახლიდან რომ გავედი. ტყეში საქმე მქონდა და მივიჩქაროდი. ალმასკომთან რომ გავიარე, დავინახე საბჭოს თავმჯდომარე მოდის. გვერდით მილიციელები მოჰყვებიან. ყველა ისე მთვრალი იყო, რომ ვერც კი მიცვნეს... მასწავლებელს ქელეხი ქონდა და იქიდან ბრუნდებოდენ.

— ეგ საქმეს არ შეეხება! — შეაჩერა მოსამართლემ — საგანზე ილაპარაკეთ!

— დაიცა, დალოცვილო, დალაგებით მოგახსენო ყველაფერი:

— ჰო-და, როგორც გითხარი, მასწავლებელს ქელეხი ჰქონდა. სიდედრი მოუკვდა. კაი ქალი იყო, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა. ისეთი დედაკაცი იყო, ათი მეტრი ბაწარი არ შემოწვდებოდა წელზე. მეორე სიძესთან ყოფილიყო. აი იმასთან, გაღმა სოფელში რომ სახლობს.

მოსამართლე კიდევ შეეცადა მოწმის შეჩერებას, მაგრამ დურგალიშვილმა დაასწრო და განაგრძო:

— ძაი ღვინო გაატარებია ცხონებულს. და ნასიამოვნებიც ბრუნდებოდა, ურმით მოჰყავდათ, მაშ ფეხით წამოსვლას როგორ აკადრებდენ... ჩვენი სოფლის ბოგირზე როგორც კი შედგა ურემი, ბოგირი ჩაიქცა, ურემიც ჩაითრია და დედაბერმაც შენი ჭირი წაიღო...

— სასამართლოსთვის ეგ საინტერესო არ არის. თქვენ საგანს გადაუხვიეთ! — ვეღარ მოითმინა და შენიშნა მოსამართლემ.

— რათ უნდა გადაუხვიო, შენი ჭირიმე, პირდაპირ საგანს მივყვები... ჰო-და, როგორც მოგახსენე, მასწავლებელმა სიდედრის სულის მოსახსენებლად ქელეხი გამართა. მღვდელიც კი მიიწვია... მართალია, მასწავლებელი უღმერთოთა წრეში მუშაობს, მაგრამ სიდედრს ისეთ პატივსა სცემდა, რომ... ერთი სიტყვით, ამ ქელეხიდან დაბრუნებულ თავმჯდომარეს შევხვდი. მსტაცა ხელი. არ გამიშვა. ჩვენ ეხლაო კოოპერატივის გამგესთან მივდივართ, ქალაქიდან სასმელები აქვს მიღებულიო. ჩავინისიავოთო. მეჩქარებოდა, მაგრამ არ გამიშვა... დავყევით გზას... მოგეხსენება როგორია ჩვენი სოფლის გზა. მთელი სოფელი გავიდა გზის გასაჭრელად, ვენახები და ეზოები არ დაზოგეს, ოღონდ კარგი გზა ჰქონოდათ, ეხლა კი საგზაო კომისიის მოუვლელობით ისეთი შეიქნა, რომ..

— ეგ ჩვენ არ გვაინტერესებს! — მიაძახა მოთმენიდან გამოსულმა მოსამართლემ.

— შენ თუ არ გაინტერესებს, ჩვენ გვაინტერესებს... ჰო-და, იმას მოგახსენებდით, გავყევით ამ გზას... კი არ მივდივართ, მივხტივართ. მაშ იმ გზაზე სწორათ სიარული ვის გაუგონია? როგორც იქნა, დიდის ვაივაგლახით, ჩავათავეთ ის გზა და კოოპერატივის გამგეს მივადექით... დამავიწყდა ოღონდ ის მეთქვა, რომ წინა დღეს საწყალ ვანუას იმ გზაზე ურემი დამტვრევოდა და დღესაც იქ აგდია... დაგვიხვდა გამგე, მაგრამ რას დაგვიხდა! ცოცხლე მასპინძელი ის იყო...

— ამხანაგო მოწმე! — თითქმის მიაყვირა მოსამართლემ. — თუ კიდევ ერთი სიტყვა გითქვამთ არა იმის შესახებ, რაც ეხლა საქმისთვის საჭიროა, სიტყვას შეგაწყვეტინებთ. ჩვენ გვინდა გავიგოთ მკვლელობის საქმე. გვიამბეთ ამის შესახებ, რაც იცით...

— მკვლელობაო?! როგორ მოხდა? ვილაცამ კი მოჰკლა და ეგ იყო, თუ სხვა, მე რა ვიცი?! მკვლელებთან და ავაზაკებთან მე არ მაქვს საქმე!

პეპო

**ანეგდოტა**

— ამხანაგო მაზრის პროკურორო, რათ აგვიანებთ ჩემი დევნი საქმის გამორკვევას? ცემა აღარ მაკმარეს, ეხლა მოკვლითაც მემუქრებიან!

- უფრო უკეთესი! თუ მოგკლეს, მეტი საბუთი გვექნება იმ არამზადების დასასჯელად!

გლეხკორი.

# ჩემს ქოთამს — გიძღვნი სალამს!..

მოკითხვა და ნახვის ნატვრა ჩემო ძვირფასო **გედეონ ყვილიანო!** გავიგე ცაგერის რაიონში **სოფ. მახამის საბჭოს** თავმჯდომარედ ყოფილხარ. ისიც მითხრეს, საბჭოს მდივნად ყოფილი მამასახლისი აგიყვანია, ხოლო ღარიბ გლეხებს, კოლექტივის წევრებს, აქტივისტებს და კომკავშირელებს სდევნი რამდენათაც გაგეწყობაო. განაგრძე, ჩემო გედეონ, ეს კეთილი მოღვაწეობა. მიიღეთ შენ და შენმა მამასახლისმა ჩემგან საჩუქრად შოლტის მაგარი გადმოქნევა. ჯერ-ჯერობით ღარიბათ ვარ და მეტს ვერაფერს გიგზავნი. ერთ პირობას კი მოგცემ: ამ წყალობას არ მოგაკლებ, სანამ ასე თავისუფლად იპარპაშებ მახამში!

კიდევ მოკითხვა და პირზე კოცნა სოფ. თერჯოლის ფოსტის გამგეს **არყატი მამალაძეს!** ასე მითხრეს, მეთერთმეტე ცოლს თხოულობო... არ გრცხვენია, ერთხელ მაინც არ დამპატიჟე? თურმე კვირაში მარტო ოთხი დღე გქონია ფოსტა დაკეტილი. როგორ ასწრებ ამ ოთხ დღეში ამდენი მოყვრებისას ჩასვლას და დროს გატარებას? დანარჩენი სამი დღეც მიამატე, შე კაი კაცო! უფრო გულდამშვიდებით წაიქეიფებ. სულ ერთია, ფოსტაში ყოფნის დროს სხვისი წერილების გახსნისა და წაკითხვის მეტს მაინც არაფერს აკეთებ. გავიგე, უჯრედისთვის „ბანდა" გიწოდებია... ძალიან მომწონს შენი გაბედულება. მაგრად იყავი ჩემო არყატი, ვაჟკაცი ყოფილხარ — ვაჟკაცად დარჩი! მიიღე ჩემგან სალამათ შოლტის მწვავე გადმოქნევა. თერჯოლის კომუჯრედს კი გადაეცი ჩემი წყრომა, რომ აქამდი არ [illegible]ავს შენთვის ღონიერი ბანდ[illegible].

*შოლტი*



ათი მცნებიდან: „არა კაც ჰკლა... გარდა კოლექტივის წევრისა"!

## „ღვთის მშობელი" ექიმბაშთან



— ოცი საუკუნეა ყოველ წელი[illegible] წადს მშობიარობა მაქვს,—სულ ი[illegible] ხონე, უშვილობის წამალი მომეცი!

# ყურმოკრული ამბავი

ონოფრე ღვდელი, დღეს კაი გუნებაზეა. საქმე იმაშია, რომ რამოდენიმე დღის წინათ მახლობელ სოფელში ხელთ იგდო ერთი ბრიყვი გლეხი და ისე შეუჩნდა საწყალს, რომ დაითანხმა იგი შვილი ეკლესიაში მოენათლა. იმდღესვე შეუდგა ონოფრე საქმეს და მოუნათლა კიდეც ნისიათ შვილი. დღეს მას უნდა მიეღო გასამრჯელო ერთი ქედილა და 3 მანეთი ნაღდი ფული. გათენებისას ონოფრემ შესვა ცხენზე დიაკვანი და გაგზავნა იგი ქედილის ჩამოსაყვანათ. აი მიზეზი მისი კაი გუნებისა!

სად. 4 საათი იყო, მალე წირვა უნდა დაეწყო ეკლესიაში, მაგრამ დიაკვანი არსადა სჩანდა. ონოფრე საგონებელში ჩავარდა, მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავდა: — ღვთისნიერი და სტუმართმოყვარე გლეხი სჩანდა გალშა სოფლელი და ალბათ სადილით გაუმასპინძლდა დიაკვანსო, თითო-ოროლა ნუნუაც გადაყლაპეს ალბათ და ამასობაში შემოაგვიანდაო!

დიაკვანი ონისიმე, ძალზე გალეშილი, მობაჯბაჯებს ულრან ტყეში, საშინლათ იგინება და ვილაცას ემუქრება:

— არ შეგრჩებათ მსუქანი ქედილა, სავსე ხურჯინი და ონოფრეს ქაკი ცხენი — ღრიალებს იგი,—ჩავალ სოფელში, დედას გატირებთ. მთელ მილიციას დაგახვევთ თავზე. მათ არ იციან, რომ ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე მორწმუნე კაცია! სასულიერო წოდების კაცის გაძარცვას ის ვერ მოითმენს.

ლანძღვა-გინებით უახლოვდებოდა სოფელს მამა ონოფრეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, გაძარცული ონისიმე დიაკვანი. იქ კი, ტყეში, წყაროს პირას სამ ახალგაზრდას გაეშალა ნაბადი და დიაკვანისგან წართმეულ ღვინოს და ხაჩოვაგეს შეექცეოდნენ. გვერდით კი ქედილა და მამა ონოფრეს ცხენი სძოვდა.

შუა წირვაა. ბრაზმორეული ონოფრე ღვდელი რაღაც ლოცვას ბურტყუნებს. გუნებაში კი მკვახეთ იგინება.

ფეხაკრეფით შემოდის ეკლესიაში დალლილ - დაქანცული ონისიმე და ტრაპეზისაკენ მიემურება. დიაკვანის დანახვაზე მამა ონოფრეს თვალებში შემწვარი ქედილა მოელანდა და სახე გაუბრწყინდა. თითქოს ხმაც მოემატა სიხარულისაგან და უფრო ბოხი ხმით დაიწყო გალობა... მაგრამ, რას იზამ, ონოფრეს მაინც გული საგულეში არა აქვს. წირვა არც ისე მალე გათავდება და მას კი ვერ მოუთმენია — მალე უნდა გაიგოს ქედილის ამბავი. ონოფრე ღვდელმა მიიხედ - მოიხედა, ჩაახველა და გალობით მიმართა დიაკვანს:

— დიაკვანო, დიაკვანო, ბე-კე-კე-კე რა ვუყავი-ი-ი-ი?! რაღაც გაბრაზებული ხარ, ხომ არ იმამძალლეო-ო-ო!!!

დიაკვანს თითქოს კეტი დასცეს თავში, რეტი დაესხა, მაგრამ შეიმაგრა თავი და გალობითვე უპასუხა:

— ნათქვამია უბედურ კაცს—ქვა ალმართში დაეწევა-ა-, შენ ბე-კე-კეკეს რასა სჩივი, ეჰა-ჰი-ჰი-ჰიც (ვითომ ცხენიო) იქ დამრჩაო-ო-ო!!!

ჭინკა.

## ტფილისის სასამართლოში

**მომჩივანი.** — პეტრემ თავი გამიტეხა და გთხოვთ საკადრისათ დასაჯოთ.

**მოსამართლე.** — რით გაგიტეხა?

**მომჩივანი.** — აგურით.

**მოსამართლე.** — სტყუი, თბილისში ისეთი მაგარი აგური არ მზადდება, რომ თავი გაგიტეხოს!

# ორი ქურდი

მღვდელ ონისიმესთან მივიდა მეზობელი ივანე და შესჩივლა:

— მამაო, გუშინ ბინდისას გზაზე მოვდიოდი, მინდორში ორ ცხვარს წავაწყდი, უპატრონოთ დაეხეტებოდნენ და სახლში წამოვიყვანე. მითხარი მამაო, ეს ცოდვათ ხომ არ ჩამეთვლება?

— დიდი ცოდვა ჩაგიდენია, შვილო, ქურდობა გაგიწევია და ღმერთი ქურდობას არ გაპატიებს...

— მაშ, დღესვე მოვძებნი პატრონს და უკან მივუყვან...

— მოიცადე, პატრონი რათ გინდა, მაგ საქმეს სხვანაირად იოველებ.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ მე ვთხოვ და შევევედრები უფალს მოგიტეოს ეს დანაშაული.

მღვდელმა გადაიცვა ანაფორა, აილო ხაცეცხლური, რაღაცა წაიბუტბუტა და შემდეგ ივანეს მიუბრუნდა:

— ეხლა კი ნურაფრის შიში გაქვს, ღმერთი მოგიტევებს.

— რა ვქნა, მამაო, არა მჯერა, რომ ასე ადვილათ მეპატიოს ქურდობა!

— როგორ თუ არა გჯერა? ხომ იცი, რომ ღმერთი ყველას გულთა მხილავია და მისი სურვილის გარეშე არაფერი კეთდება?

— მართალია, შენი ჭირიმე.

— თუ მართალია, ისიც უნდა იცოდე, რომ, როდესაც შენ იმ ცხვრებს იპარავდი, ღმერთი ყველაფერ ამას ხედავდა და ალბად შენთვის მოწყალება ემეტებოდა, რომ ქურდობა არ დაგიშალა.

— ეხლა კი დავმშვიდდი, შენი ჭირიმე... დიდი მადლობელი ვარ დარიგებისათვის... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

— მოიცადე, სად მიხვალ... ღმერთს რომ შევევედრე და შენთვის პატიება ვთხოვე, ამაში ერთი ცხვარი მე უნდა მომცე.

— რათა, მამაო, ღმერთს თუ შენთვის მოწყალება, ემეტება, და ღმერთმა შენც მოგცა! [illegible]

# წერილი შოლტიანს

მუდამ შენთან ვარ ბრძოლაში
გლეხების ძმათა შობილო,
დაცხე ამ ქვეყნის ორგულ მტრებს—
მათ ჭირათ წარმოშობილო.
დღეს ჩვენზე კბილებს ილესავს
ჩარჩი, კულაკი, და მღვდელი,
სოფლათ შენა ხარ ამათი
სახრის და შოლტის დამრტყმელი.
დღეს ფოფოდია ჩამოხმა
მოაკლდა ცხელი მწვადები,
მას ძველებურად არა აქვს
ცხვრის დუმა, არცა ქადები.
ცრემლი გადმოსდის თვალებზე
მოხუც დიაკონს ტარიელს
მშიერი მღვდელიც დასტირის
დღეს თავის ხურჯინს ცარიელს.
კულაკი კბილებს ილესავს
მას დღეს არა სწამს არტელი
გაგონადაც არა სურს
მას კოლექტივის სახელი.
ვაჭრებს ხომ უკვე დაუდგათ
გადაშენების სხვა ხანა,
მათ მოტყუებას და ხრიკებს
მიუხვდა გლეხი ყველგანა.
დღეს წარსულ დროზე ოცნებობს
გაკოტრებული თავადი,
რომელსაც ისევ მოსწყურდა
მშრომელ გლეხებზე ნავარდი.
ასეთ ხალხს აღარ მოაკლო
შენი შოლტისა წყალობა,
მაშინ მათ ველარ უშველის
ლოცვა, კურთხევა, გალობა.
ასეთი შენი გმირობა
მშრომელსა გლეხებს ახარებს,
საბჭოთა ხელისუფლებას
დღეს უფრო მეტად აყვარებს.
გისურვებ მედგრად იბრძოლო
მოსპო მტარვალთა რიგები,
მაშინ მეც შენი შოლტკორი
ბრძოლაში შენთან ვიქნები.

ქ. ზანძელი.

# შობას დღესასწაულობენ



ჭამენ — სმენ, ერთად ლხინობენ,
ჭარალეს იძახიანო,

„ქრისტი „შობა" და „აღდგომა",
აი ვის უხარიანო!

# მიზეზი

— შენ რატომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ გადაიხადე?

— როგორ? თემალმასკომის თავმჯდომარეთ მე ვიყავი და გადასახადი შემეტანა?

— მაშ, რატომ წელს მაინც არ იხდი?

— თემალმასკომის თავმჯდომარეობიდან გამომაგდეთ და გადასახადიც გადავიხადო?

# შეჯიბრება

— ჩვენს სოფელში დიდი შეჯიბრება მოეწყო.

— რაში მოეწყო შეჯიბრება? — სირბილში.

— საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარემ, ხუთასი თუმანი ჩაიდო და ისე გაიქცა, რომ ცხენოსანი მილიციაც ველარ დაეწევა.



— მალე, ექიმი! ბავშმა კაპიკიანი გადაყლაპა!

— მერე, შე მამაცხონებულო, კაპიკიანის ამოღებაში ექიმს სამი მანეთი როგორ მივცე!

# „საშობაო"

მამა ათანასეს ფოფოდია სწორედ დიდმარხვის ფიჩხულს გავდა, გამხმარი და გაძვალტყავებული, — მის დიაკვან აპრაკუნეს მეუღლე პელაგიას კი საურმე საბელი ძლივს შემოსწვდებოდა, მდიდარი იყო სისხლითა და ხორცეულით.

—სწორედ საჩემოა, დალოცვილი! — ფიქრობდა გულში ათანასე, როდესაც წირვაზე თვალს მოჰკრავდა მას.

თავის ფიჩხულს კი საყვედურით ავსებდა: შე ოჯახ დაქცეულო, რა მოგივიდა... ეს ამდენი სიბნები და დოშები, ქადა-ნაზუქები ერთი არ გადაგრჩა და მაინც იმერულ ჩურჩხელას გევხარ!..

ცოლი ცდილობდა როგორმე ქმრის გემოზე ჩაკვრიებულიყო, მაგრამ ამაოთ...

სწორეთ ასეთ დღეში იყო აპრაკუნე დიაკვანიც. ჯოხზე შემოცმულ ცარიელ ჩოხას უფრო გავდა, ვიდრე ნათლიმცემლის „პატიოსან" დიაკვანს. სწორედ ამიტომ მისი დედაკაციც წირვის დროს იესო ქრისტეს ხატის მაგიერ, უფრო ათანასეს გასიებულ ღიპს შესცქეროდა ნეტარებით...

საშობაო მარხვა დადგა. აპრაკუნეს მეუღლემ ზიარების ლოცვაზე დაიწყო სიარული დილა - საღამოს. პირველ პარასკევს საკურთხეველში აღსარებისათვის შევიდა მამა ათანასესთან. აპრაკუნე ამ დროს მამალივით ზეპირად გალობდა რაღაც სულის „საცხონებელ" ფსალმუნს...

— შემინდე მამაო!

— ვაი შენ ჩემო თავო, მაგას რაღა თქმა უნდა! — ათანასეს თვალები პელაგიას უბეში ჩაცვივდა, საიდანაც თოვლივით თეთრი სასუსნავი ჩანდა.

პელაგიამ მუხლი მოიყარა და ათანასეს გაფუებულ ხელებს ემთხვია სასოებით.

— სახელითა, მამისათა და ძისათა... დაუფარავათ მოახსენეთ მაცხოვარს თქვენი შეცოდებანი!.. — ათანასემ ცალი ხელით ანაფორის კალთა გადააფარა პელაგიას და ალერსით დაუწყო ცქერა...

— შეცოდება არაფერი... გულში კი ეშმაკი შემეპარა და აკრძალულ ხილს მაწვდის...

ათანასეს პირში ნერწყვი მოერია და მეორე ხელი პელაგიას თეძოს მოხვია ფრთხილად.

— ღმერთი სულგრძელია, ყველაფერს გაპატიებს!.. ადამი, ადამი ვინ არის? ვინ არის ის ბედნიერი ადამი თუ ადამიანი?

— პელაგიას სითბო ჩაუდგა ტანში და თავი ათანასეს მკერდს მიაყრდნო უნებლიეთ.

— სახელითა, მამისათა და ძისათა... სახელითა მამისათა და ძისათა!.. — შეუწყვეტლად გაბა ათანასემ, თან ხელები აამუშავა...

ორივე თავდავიწყებას მიეცა. მათ აღარ ახ-

# საჭირო არ არიან



გლეხი: არ გვინდა თქვენი ლოცვა, არცა თქვენი ზიარება.
თქვენისთანა მუქთახორა ჩვენთან ნუ არ იარება.

## „ძღვენი"

სოვდათ, რომ აპრაკუნე ცოლის დაგვიანების გამო საკურთხევლის კარებთან მოუთმენლად იმტვრევდა თითებს და იხსნიდა და იკრავდა ახალუხის ღილებს...

— სახელითა მამისათა და ძისათა... ღმერთი ყველაფერს გვაპატიებს და შეგვიწყნდობს. ძლივს ლუღლუღებდა ათანასე, როდესაც ლოდინით დაღლილმა აპრაკუნემ უცბად შეაღო საკურთხევლის კარი და სანახაობით ზარდაცემულმა „წმინდა ბარძიმი" მთელი ძალღონით თავში დაუშვა თავის წინამძღვარს.

პელაგია მაშინ მიხვდა, თუ ალსარებამ სადამდე მიიყვანა და ცეცხლმოკიდებულივით გამოვარდა კარში. საკურთხეველში კი მღვდელ-დიაკვანი კარგა ხანს ურტყამდენ ერთი-მეორეს..

კიდევ კარგი ეკლესიაში მათ მეტი არავინ დაიარებოდა და ხმა შორს არ წასულა. დიაკვანმა კი იმდღესვე ქალაქში დიდი არზა გაუგზავნა არქიელს...

— ფოფოდიავ, აბა ორი ინდოური, ერთი გოჭი, ერთი თონე პური და სამიოდე ვედრა ღვინო გაამზადე არქიელს საშობაო ძღვენი უნ და მივართვა, ეგები ბლალოჩინობა მომცეს!..
ფოფოდია ხელათ დატრიალდა, მან აბა რა იცოდა რაში იყო საქმე... და ათანასე იმ საღამოსვე დიდი ძღვენით გამოისტუმრა ქალაქს.

შუაღამე გადასული იყო, რომ ათანასე უკვე ტფილისის სადგურში იყო. მან დიდი ვაი-ვაგლახით და ხვნეშით გადმოიტანა ძღვნით გატენილი ხურჯინი სადგურში და აქაური ჯიბგირების ამბავი რომ ჰქონდა გაგონილი ზედ ხურჯინზევე დაჯდა გათენების მოლოდინში..

ამ დროს მის წინ ორმა კარგა გამოწყობილმა ახალგაზრდამ გამოიარა, მერე ერთი სადღაც გაჰქრა, მეორე კი მოწიწებით მიუახლოვდა მღვდელს და გადაჯვარედინებული ხელი გაუწოდა.

— გვაკურთხე მამავო!..

ათანასეს სიხარულის ეოუანტელმა დაურბინა ტანში. ამბობენ ქალაქი მთლად კომკომოლებმა ჩაიგდეს ხელში და ნამდვილად კი აქ უფრო მორწმუნე ხალხი ყოფილა თურმეო,— ასე გაიფიქრა გულში და ჯვარის გადასასახავად წამოდგა ზეზე...

— ღმერთმა გაკურთხოს შვილო!.. — მოსულს პირჯვარი გადასწერა და ისევ ხურჯინზე დაჯდომა დააპირა, მაგრამ მამა ათანასეს უკან ხურჯინი აღარ დახვდა და ყირაზე გადაიარა... ზეზე წამოვარდა, ხურჯინი რომ ალ·რისად იყო, გამწარებულმა წვერში იტაცა ხელი...

მამა ათანასე მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ ის მორწმუნე უცნობები თურმე ჯიბგირები იყვნენ...

ტრახ

## იორდანე ღვდელი

იორდანე მაგრათ გამოძღა, მზართქმოზე წამოწვა და მიეცა ფიქრებს:

— გულზე ხელი რომ დაიდევს კაცმა და ხმამაღლა სთქვას, მე ამას კარგს არ ვაკეთებ, ეს ხომ ჩემი მართლმორწმუნე მრევლის მოტყუებაა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ყოველი წირვა-ლოცვის დროს ვინ იცის რას არ ვატყუებ ხალხს: ზიარებაზე ვეუბნები—ეს ქრისტეს სისხლი და ხორცია მეთქი, ნამდვილად კი ჩვენი სოფლის მეავე ღვინოა, ხეფისკვერი კიდევ ჩემი ლამაზი ქვრივის გამომცხვარი.

იორდანე ფრიად ღრმად ჩაფიქრდა, დიდხანს იყო ასე და ბოლოს წამოიძახა:—ყველაფერი ეს სიცრუე და სისულელეა, ყველაფერი ეს უნდა უარვყო, ხელი ავიღო მღვდლობაზე, და რაკი საჯაროთ ვაღიარებ ამას და ურწმუნოთა საზოგადოების წევრი გავხდები, ადგილსაც მალე ვიშოვი. დღესვე უნდა შევასრულო ეს. შუა წირვის დროს გამოვალ და ჩემს განზრახვას საჯაროთ განვაცხადებ.

ამ აზრით გაეშურა ეკლესიისაკენ. დაიწყო წირვა. მაგრამ იორდანე ძალიან უხალისოთ სწირავდა. შუა წირვისას დარეკეს. იორდანე ერთხელ კიდევ გამოეთხოვა თავის წარსულს და მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა საკურთხევლიდან თავისი განზრახვის საჯაროთ გასამჟღავნებლად.

— ამხანაგებო, ყოფილო მართლმორწმუნე ქრისტიანენო,—დაიწყო იორდანემ და ამ დროს ჩვეულებრივ გადაათვალიერა იქაურობა. ეკლესია მოხუცებით იყო გაჭედილი. მნათეს თეფში ჩამოეტარებინა და აბაზიანებს ჩარიალი გაჰქონდა.

— დღეს დიდი შემოსავალი იქნება, სადაც აქამდის, დღესაც მოვიცდი,—გაიფიქრა იორდანემ და სიტყვა ასე შეატრიალა: — მართლმორწმუნენო, დიდარს სახელი უფლისა ჩვენისა... დიდარს სარწმუნოება ჩვენი... ნუ დაუჯერებთ წყეულ ურწმუნოებს... ქრისტემ სთქვა...

იორდანემ ჩვეულებრივ განაგრძო თავისი ქადაგობა და თან ფიქრობდა:—რა მეჩქარება, ყოველთვის მოვასწრებ მღვდლობაზე ხელის აღებასათ.

### „უსარგებლო" გაზეთი

— ჭირივით მეჯავრება ეს რადიო გაზეთი.

— რათ გეჯავრება? ჩემის აზრით ძალიან საინტერესოა.

— იმიტომ, რომ თუთუნის გასახვევად ის არ გამოდგება და ვერც კედელზე გააკრავს კაცი!

### ზოგიერთი „გლეხკორი"

— აქ რა გინდა, კაცო, ამ შუაღამისას? თავმჯდომარის სახლს ხომ არ დარაჯობ?

— მე როგორც გლეხკორი, მოვალე ვარ თვალყური ვადევნო ჩვენს თავმჯდომარეს ღამე ხომ არ სვამს ღვინოს. დღისით კი ვხედავ, რომ საქმით დატვირთულია და ღვინის სმისათვის დრო არა აქვს.



— წინეთაც ქურდობაზე დაგიჭირეს, რათ არ იშლი?
— ძველ მეგობარს ზურგი შემაქციე? კოოპერატივში გამგეთ ყოფნა სჯობს?

## თელავიდან

კირაკოზოვი ტერტერა
გამოქექილი მელია,
მრევლში იარა ქურდულად
ლუკმა რომ გამოელია.
უთხრა: მიშველეთ შვილებო
თქვენს მაცხონებელ მამასა,
ხომ იცით ძველი დროიდან
დაჩვეული ვარ ჭამასა.
მიყვარს დოში და ნაზუქი
დღე მუდამ ვნატრობ ტაბლასა.
სულზე რომ ვფიქრობთ არ კმარა
ცხონება გვინდა დაბლაცა.
არ გაუვიდა ოინი
ხალხმა გაუგო ცდუნება,
და ახლა სხვა ხერხს მიმართა,
გამოიცვალა გუნება.
გაიძრო „წმიდა ოლარი"
დაიწყო ღმერთის გინება.
ამ ოინბაზის შემხედავს
მოდი ნუ გაგეცინება!
ჯვარი სკივრში აქვს,
ხატს ლანძღავს,
თან მრევლში ისევ ტრიალებს.
ანაფორა აქვს ისეთი
აბრეშუმივით შრიალებს.
ახალი სახლი იყიდა,
ხალხში კი ტირის—წუწუნებს.
თვითონ მღვდლობს
და სხვა ტერტერებს
ღმერთის სამსახურს უწუნებს...
დღით ანაფორას არ იცვამს,
ღამე ახურავს სკუფია,—
დღისით ხალათი აცვია,
ღამე საყდარში სკუპია.
და ასე ცხოვრობს ტერტერა,
როგორც ღამურა ღამითა.
ვერ გაძლა კირაკოზოვი
ხალხის დოვლათის ჭამითა...
შოლტო, გალოცხე გულდაგულ
ეს ღამურების გვარისა,
რომ დაავიწყდეს ერთიან
ანაფორაც და ჯვარიცა!..

ჭინჭარი.

# კვალს ეძებენ




— რას ეძებთ ამ ტალახის მორევში?
— ჩვენ სოფელზე აგრონომს გაუვლია და მისი ცხენის ნაკვალევს ვეძებ!

შ ო ლ ტ ი

## საბჭოს მდივანი შელია — ნამდვილი მგელია!

საჩიჯაოს საბჭოს მდივნად ბრძანდება შელია. ყოფილი თავადი, აფერისტი და საეჭვო პიროვნება. ეს ვაჟბატონი გამსახლშიც იჯდა, მასვე შემოეფლანგა კიცხში 180 მანეთი სახაზინო ფული... დღეს ის საჩიჯაოში ბატონივით ცხოვრობს... აბუჩად იგდებს გლეხებს. შუაღამისას სოფელს იკლებს თოფის და რევოლვერის სროლით...

მეთვალყურე.

მართლაც, და საკვირველია, —ვისი წყალობით გაბატონდა ნიკო შელია? გლეხებში მეფესავით დადის, რასაც უნდა იმას სჩადის... თოფის და რევოლვერის სროლით, — სოფელში დააყენა ბოლო... ნუ თუ ამ ძველი დროის „პისერს“ — ვერავინ მოუგრეხავს კისერს?!.

## სოფელ სხვავას „ეპო“-ს — ამდენი უთავბოლობა ეყოს!

სხვავას კოოპერატივი ხან იკეტება, ხან ისევ აახლებს ვაჭრობას... ერთხელ იყო — გაფლანგეს, მეორედ გატეხეს—გაქურდეს, მესამედ საქონელი მოიტანეს უვარგისი. 30 წყვილ კალოშში ყველა სხვადასხვა ზომის და ცალ-ცალი იყო...

ახალი.

ალბად, „ეპო“-ს მეთაური „ბრძენი“ ვაცია, თუმც ეტყობა ტვინი აქვს პაწია: თორემ როგორ მოხდა, — რომ ასეთი იშვიათი საქონელი მის ხელში მოხვდა. სად ქონდა თვალები: თავის საბძელში თუ კალოში, როდესაც გასაყიდად წამოიღო უვარგისი კალოში?!! ეტყობა, არაფერი ეშველება სხვავას, ვიდრე ამ გამგეს არ გამოუცვლის ჰავას!

ძველი-სენაკის მშრომელთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ სამკითხველო დაკეტილია: ორშაბათობით, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკეობით, შაბათობით და კვირაობით.
დანარჩენ დღეებში ღია არის.
სამკითხველოს გამგე.

სოფ. ახალ-სოფლის სათემო ტყის მცველს მჭირია გლეხები, რომლებიც სახლში გადამიზიდავენ ჩემს მიერ ტყეში უკანონოთ მოჭრილ შეშას და სახერხ მასალას. ჯილდოთ უფლებას ვაძლევ მოსჭრან ტყე რამდენიც უნდათ და როცა უნდათ.
ტყის მცველი ათანასე.

ტყიბულის მაღაროების მუშათა კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უბინაობის გამო გაცივდა, დამუნჯდა და ერთი კვირის განმავლობაში ხრიალის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა რადიო-მიმღები.
სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე.
კლუბის გამგეობა.

გომის თემის სოფ. მტკაულის 4 წლედის მასწავლებელი სიმონ ცინცაძე ვყიდი ძველ ანაფორას და ჰაბონებს, რომელსაც ვატარებდი ღვდლობამდე სტრაჟნიკათ ყოფნის დროს.
ნივთები კარგად შენახულია. აღარ მჭირია მასწავლებლად დანიშვნის გამო.
პატივისცემით სიმონ ცინცაძე.

## სოფელი „ხატის სოფელი“ — ტერტერების არის სამყოფელი.

წმინდა გიორგის ილოცვისას შემოესია ექვსი ტერტერა. მათ შეიპყრეს გლეხი ქალი, რომელსაც ვითომ „ეშმაკი შეუჩნდა“. მორთო ყვირილი. შემდეგ ტერტერების „ლოცვით ეშმაკი გაჰქრა და ქალი განიკურნა“. ტერტერებმა ამით ისარგებლეს, ბლომად ფული იშოვეს და კარგათაც გამოთვრენ...

მეხთა მრიდი.

ცნობილია ამ მხარეში — ტერტერების თარეში. მათი ხეტიალი გლეხებისათვის ჭირია, რადგან ასეთი ოინბაზობა მათგან ძალიან ხშირია. ეხლა კიდევ საცაა მალე „შობა“ მოვა და სოფელს კვლავ შეესევა ეს მგლების ხროვა. საბჭოც ხომ არ ფიქრობს „სულის ცხონებას“, — რომ ტერტერებს ატანს გლეხობის ქონებას?! ამდენი ძილი და ლოდინი კმარა, — ზომები, ზომები ჩქარა!

## ჩვენი გამგე
(სოფ. გულუხეთი)

ჩავიარე გულუხეთში
და გავჩერდი შარა-გზაზე...
იოსები ცოლსა სცემდა
არც უშვებდა საჩივარზე.
ყრუ, უვიცი არ გეგონოთ—
სკოლის გამგე გახლავთ სწორ...
თუ კიდევ გაიმეორა,
იმავ წუთში მოვაშორეთ!

კავალერისტი

## გმირი კინკალა

(მაღლაკის თემი)

განთქმულია ჩვენ სოფელში
ალექსანდრე კინკალაო,
ფული ბევრჯერ გაუფლანგავს
და დაუკრავს გიტარაო

მოკინკლავეს უძახიან
და ინტრიგანს მასაშიო.
ფული თუ კი შემოაკლდა,
იქავე აქვს კასაშიო.

წინად იყო თავმჯდომარედ
ის გლეხკომის სოფელშიო;
სულ ტომრობით გააძვრინა
მან სიმინდი ბოთლებშიო.

სასადილო გახსნეს ჩვენში,
შეიყვანეს ნაწილშიო...
რია-რია მალე მოხდა,
დაკა-დაკა გამიშვიო!

მიაკეტეს ეს სავაჭრო
და აგენტმა დალუქაო.
ანაკრებსა ნისიებსა
კინკალამა ყლაპ უქნაო.

კიდევ გახსნა სასადილო,
დაჭკლა დიდი ბურაკიო,
ამხანაგათ შეიყვანა
შავწიელი კულაკიო.

და ასეთი პიროვნება
სა-რევ-კომის წევრიაო..
მისით უკმაყოფილონი
ჩემო „შოლტო", ბევრიაო

ყურადღება მიაქციოს
ალმასკომმა, კარგიაო!
ესე საქმე გევალეუა
შენ, კირილე—ხატიაო!

ტრიფონ



— წრეულს ჩვენ კოოპერატივს დიდი მიღწევა აქვს: შარშან თორმეტი ათასი მანეთი გაიფლანგა, წელს კი მხოლოდ ექვსი.

## სწორი პასუხი

(სვირი)

**მასწავლებელი:** — სოფლის მეურნეობაში რომელი უმთავრესი მავნებლები იცით?

**მოსწავლე:** — უმთავრესი მავნებლები ჩვენი სოფლის მცხოვრები დ. დეკანოიძე, გრ. ჯუღელი და სხვა კულაკები არიან, მასწავლებელო!

ვიხ—ბი.

## ასე მოხდა აფენის თემში

აფენის თემში (კახეთი) მცხოვრებ გლეხს კ. რეხვიაშვილს შვილი მოუკვდა. ალბად ამ მწუხარებამ დაუბნელა გონება რეხვიაშვილს და მან გასვენებაზე ღვდელი ივანე ოდიშვილი და მისი დიაკვანი ს. ყაველაშვილი მოიწვია. გაასვენეს მიცვალებული... სარწმუნოების ვეშაპებმა „გასამრჯელო" მიიღეს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ. დაბრუნდნენ კ. რეხვიაშვილთან და სმაჭამას მიჰყვეს ხელი.

როცა „ქრისტეს მოციქულები" გამოძღენ და გამოთვრენ, საინების და ბოთლების მტვრევას მიჰყვეს ხელი.

— ნუ გვღუპავთ, ისედაც დაღუპული ვართ!—ევედრებოდა მათ რეხვიაშვილი.

— ხოში გვაქვს, უნდა დავამტვრიოთ! ყველაფერი უნდა დავამტვრიოთ!

— არ მშვიდდებოდენ „ღვთის სიტყვის" მქადაგებელნი.

ამის მოწამე გლეხმა პ. მეტრეველმა მეტი ვეღარ მოითმინა და ღვინით გალეშილ ღვდელს ბოთლი სდრუზა თავში... ბოთლიც გატყდა და ღვდელსაც თავი გაუტყდა.

ყველაფერი ეს სიმართლეა. ამას გვწერს გლეხკორი აფენიდან.

ცხადია, „შოლტიანი" ერთი წუთითაც არ დარდობს ღვდელ ოდიშვილის თავს და არ ჰკიცხავს გლეხ პ. მეტრეველს იმის გამო, რომ მან მზის სინათლეზე გამოაფინა ღვდლის დაობებული ტვინი... სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ღარიბ გლეხ რეხვიაშვილისათვის მწუხარებას იმდენად დაუბნელებია გონება, რომ ეკლესიის მსუნაგები თავის ოჯახში შეუშვია.

შოლტიანი.

რუსული იუმორი




იმპერიალისტები კელოგას პაქტს მშვიდობიანობის დამყარების საშუალებათ სთვლიან. მისი ნამდვილი სახე კი ასეთია.

### უცხო სიტყვების ახსნა

**არქივი** — სასწრაფო ქაღალდების განსასვენებელი ადგილი.

**ბიუროკრატი** — იგივეა, რაც დახელოვნებული ქურდი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქურდი სხვის ნივთებს იპარავს, ბიუროკრატი—სხვის დროს.

### კოოპერატივები

**სახელი ესა აქვთ, ხშირად კი ასეთები არიან:**

„მეგობრობა"... კერძო ვაჭრებთან.

„შეერთება"... გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა სამიკიტნოში, ან საბრალმდებლო სკამზე.

„ალორძინება"... ნოქრებისა და გამგეობის წევრების ჯიბეებისა.

„ფუტკარი"... რომელიც მხოლოდ ბზუის და საქმით კი არაფერს აკეთებს.

„**სიმართლე**"... რომლის გულახდილად თქმა სასამართლოს წინაშე სასჯელს უმსუბუქებს.

რუსული იუმორი




ამხ. ლიტვინოვი (იმპერიალისტებს) — არ გვ[illegible]ა თქვენისთანა შუამავლები. ხომ იცით ანდაზა: [illegible] ხალათში არ დაიმალებაო!

# განუყოფელი სამება



სამება—ღმერთი ცაში მყოფელი—და სამება მისგან განუყოფელი

# ვინ არის აპრაკუნე ჭინჭილაძე

რა ისეთი დიდი და სახელგანთქმული პიროვნებაა, რომ მისი სურათი „შოლტშია“ მოთავსებული?

რა დამსახურება მიუძღვის აპრაკუნე ჭინჭილაძეს, რომ მისი სახელი მთელ დუნიას ნდა მოეფინოს?

საცა არ უნდა მიხვიდეთ, რომელ სოფელსაც არ უნდა ესტუმროთ, ყველგან გაიგონებთ მის სახელს, ყველას პირს აკერია აპრაკუნე ჭინჭილაძე!

ჩვენს აპრაკუნეს ტოლი არსად ჰყავს; ხომ გაგიგონიათ ზღაპარი დევების შესახებ? ამბობენ, იმათი ნაშიერიაო, იმათი სისხლი სჩქებს მის ძარღვებშიო.

ამბობენ იმასაც, რომ ნაცარქექიასგან იშვაო. ზოგი კიდევ იმ აზრს ადგია, რომ ქოსატყუილა მისი პაპა იყო.

ასეთი მრავალი სხვადასხვა აზრი არსებობს და ჯერ კიდევ ნათლათ არავინ იცის, თუ საიდან წარმოიშვა აპრაკუნე და ვინ არის მისი წინაპარი.



მეცნიერებიც იკვლევდენ აპრაკუნე ჭინჭილაძის წარსულს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც იმათ გაიგეს რა

ჩვენც უიმედოთ ვიყავით და სასოწარკვეთილებით მოცული, მაგრამ უბრალო შემთხვევამ საიდუმლოებას ნათელი მოფინა და გავიგეთ ყველაფერი,

ეს საიდუმლო ცნობები ეხლა აქვს „შოლტს“ და მხოლოდ „შოლტს“.

რაშია საქმე?

ყველა ამ კითხვებზე პასუხს მიიღებს ის, ვინც 1930 წლის 1 იანვრიდან გამოიწერს გაზ. „ახალ სოფელს“.

იჩქარეთ ხელისმოწერა! გაზეთი „ახალი სოფელი“ და მისი დამატებები — იუმორისტ. ი ჟურნალი „შოლტი“ და „ახალი სოფლის ბიბლიოთეკა“—სულ ღირს წელიწადში 2 მანეთი, თვეში 30 კაპ.

აპრაკუნე ჭინჭილაძის დაბადების, ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ცნობების ბეჭდვა დაიწყება ჟურნალ „შოლტში“ 1930 წლის იანვრიდან.